

# ზოგადი და უმაღლესი განათლება საქართველოში
## 12 ივლისი, 2023

ევა ბოჭორიშვილი
კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 – 8036

კახაბერ სამყურაშვილი
სექტორული კვლევების განყოფილების უფროსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 – 4298

ოთარ ცუხიშვილი
ანალიტიკოსი | otsukhishvili@gt.ge | +995 322 401 111

# სარჩევი


| | |
|---|---|
| 1 | ძირითადი მიგნებები |
| 2 | განათლების სექტორის მიმოხილვა |
| 3 | ზოგადი განათლება |
| 4 | უმაღლესი განათლება |
| 5 | დანართი |

# ძირითადი მიგნებები

**საქართველოს განათლების** სექტორის შემოსავალი წლიურად 10.5%-ით გაიზარდა და 2.6 მლრდ ლარი შეადგინა 2022 წელს. სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე გასამმაგდა 2010-22 წლებში და მშპ-ს 3.7% შეადგინა (2022), თუმცა კვლავ დაბალია ევროკავშირთან შედარებით (მშპ-ს 5%). ჩვენი პროგნოზით განათლების სექტორი 8-10%-იანი წლიური ტემპით გაიზრდება საშუალოვადიან პერიოდში, რაც განპირობებული იქნება გაზრდილი სახელმწიფო დაფინანსებით და საგანმანათლებლო სერვისებზე მზარდი მოთხოვნით.

**ზოგადი განათლების** სექტორის შემოსავალი წლიურად 11.8%-ით გაიზარდა და 1.3 მლრდ ლარი შეადგინა 2022 წელს. მოსწავლეთა უმეტესობა ჯერ კიდევ საჯარო სკოლებშია კონცენტრირებული, მაგრამ კერძო სექტორში ჩარიცხვები და სწავლის საფასური მზარდია, რაც მომხმარებლის აღქმით კერძო სკოლების მიერ ხარისხიანი განათლების მიწოდებას უკავშირდება. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება გაზრდილი ურბანიზაციის, საშუალო შემოსავლების ზრდის და პოზიტიური დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით. ზრდის მიუხედავად, საქართველოში კერძო განათლების სისტემა კვლავ ფრაგმენტულია - მხოლოდ 11 კერძო სკოლას ჰყავს 1,000-ზე მეტი მოსწავლე და მათი წილი ბაზრის 21.0%-ს შეადგენდა 2022-23 წლებში, რაც კერძო სკოლების შერწყმის მიზანშეწონილობაზე მიუთითებს (M&A).

**უმაღლესი განათლების** სექტორის შემოსავალი წლიურად 4.5%-ით გაიზარდა და 0.8 მლრდ ლარი შეადგინა 2022 წელს. სტუდენტების უმეტესობა სახელმწიფო სექტორშია კონცენტრირებული, მაგრამ კერძო სექტორის წილი მზარდია, რაც ძირითადად გამოწვეულია უცხოელი სტუდენტების რაოდენობის სწრაფი ზრდით. ამასთან, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა 2022/23 წლებში მკვეთრად გაიზარდა ინდოელი სტუდენტების უკრაინიდან გადმოსვლის გამო, რაც საქართველოს განათლების ჰაბის სტატუსს კიდევ უფრო აძლიერებს - საქართველოში უცხოელი სტუდენტების წილი 15.2%-ს შეადგენს და აღემატება სხვა მრავალი ქვეყნის მაჩვენებელს, მათ შორის ევროკავშირს (8.4%) და აშშ-ს (5.1%). საბაკალავრო საფეხურზე სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის პროგრამები ყველაზე მოთხოვნადია, ხოლო მაგისტრატურაზე - ჯანდაცვის პროგრამები, რაც უცხოელი სტუდენტების მხრიდან მოთხოვნის შედეგია.

**ზოგადი განათლება**

- ჩვენი პროგნოზით, მოსწავლეთა რაოდენობა 647.3 ათასამდე გაიზრდება 2027/28 წელს, ამჟამად არსებული 633.3 ათასიდან.
- კერძო სკოლებში ჩარიცხულთა წილი 10.1%-ს შეადგენდა 2022/23 წელს და მოსალოდნელია ზრდა 11.3%-მდე 2027/28 წელს.
- კერძო სკოლებში ერთ მოსწავლეზე საშუალო შემოსავალმა 4,500 ლარი შეადგინა 2022 წელს; ამასთან, 3,200 ლარი იყო 2015 წელს.
- ტოპ-15 კერძო სკოლის მომგებიანობის მარჟები მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა პანდემიის მიუხედავად - EBITDA მარჟა 24.5%-ს, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 22.7%-ს შეადგენდა 2021 წელს.

**უმაღლესი განათლება**

- ჩვენი პროგნოზით, სტუდენტების რაოდენობა 173.4 ათასამდე გაიზრდება 2027/28 წელს, ამჟამად არსებული 164.9 ათასიდან.
- კერძო უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა წილი 39.0%-ს შეადგენდა 2022/23 წელს და მოსალოდნელია ზრდა 43.5%-მდე 2027/28 წელს.
- კერძო უნივერსიტეტებში საშუალო შემოსავალმა ერთ სტუდენტზე 4,850 ლარი შეადგინა 2022 წელს; ამასთან, 3,400 ლარი იყო 2015 წელს.
- ტოპ-15 კერძო უნივერსიტეტის მომგებიანობის მარჟები მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა პანდემიის მიუხედავად - EBITDA მარჟა 36.9%-ს, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 29.3%-ს შეადგენდა 2021 წელს.

# სარჩევი


| | |
|---|---|
| 1 | ძირითადი მიგნებები |
| 2 | განათლების სექტორის მიმოხილვა |
| 3 | ზოგადი განათლება |
| 4 | უმაღლესი განათლება |
| 5 | დანართი |

# განათლების სისტემა საქართველოში, 2022-23 აკადემიური წელი




*მოიცავს სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც იღებენ სტუდენტებს პროფესიულ პროგრამებზე

# განათლების სექტორის ზომამ 2.6 მლრდ ლარი (+10.5% წ/წ) შეადგინა 2022 წელს

- საქართველოს განათლების სექტორის ზომამ 2.6მლრდ ლარი შეადგინა (+10.5% წ/წ) 2022 წელს ჩვენი შეფასებით. საჯარო სექტორის ზრდამ (+13.4% წ/წ) გადააჭარბა კერძო სექტორის ზრდას (+2.6% წ/წ) 2022 წელს რაც იხსნება 1) სახელმწიფოს მიერ სკოლამდელ განათლებაზე გაწეული ხარჯებით, 2) პანდემიის გამო მოსწავლეთა კერძო სკოლებიდან საჯარო სკოლაში გადინებით და 3) კერძო უნივერსიტეტებში სტუდენტების მოკრძალებული ზრდით.
- ჩვენ ველით, რომ განათლების სექტორი გაიზრდება 8-10%-ით წლიური ტემპით საშუალოვადიან პერიოდში, რაც განპირობებული იქნება გაზრდილი სახელმწიფო დაფინანსებითა და ძლიერი მოთხოვნით.

## განათლების სექტორის შემოსავლები ქვესექტორების მიხედვით, მლრდ ლარი




წყარო: ფინანსთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

## საჯარო და კერძო განათლების სექტორების შემოსავალი, მლრდ ლარი




წყარო: ფინანსთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

# სახელმწიფო დანახარჯებმა განათლებაზე 2.3 მლრდ ლარი შეადგინა (+7.4% წ/წ) 2022 წელს

- სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე საშუალოდ წლიურად 11.8%-ით იზრდებოდა 2010-2022 წლებში.
- სახელმწიფო დანახარჯების უმეტესობა ზოგად განათლებაზე (44.9%) მოდის 2022 წელს, რასაც მოჰყვება სკოლამდელი განათლება (17.7%), უმაღლესი განათლება (6.3%) და პროფესიული განათლება (6.3%). დარჩენილი 27.8% გამოყოფილია სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე.

**სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე საქართველოში, მლრდ ლარი**




**განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების ჩაშლა**




წყარო: ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: გამოყენებულია ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები

წყარო: ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

# განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯები საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია ევროპულ ქვეყნებთან შედარებით

- ზრდადი სახელმწიფო დანახარჯების შედეგად, განათლებაზე დანახარჯების ფარდობა მშპ-სთან 3.7% შეადგინა 2022 წელს. ამ მაჩვენებლის კლება 2021-22 წლებში, იხსნება მშპ-ს სწრაფი ზრდით, რომელიც აჭარბებდა სახელმწიფოს განათლებაზე დანახარჯები ზრდის ტემპს.
- მიუხედავად დადებითი დინამიკისა, განათლებაზე დანახარჯები კვლავ დაბალია ევროკავშირთან შედარებით, სადაც ეს მაჩვენებელი მშპ-ის 5.1%-ს შეადგენს.

## განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების ფარდობა მშპ-სთან, საქართველო




## განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების ფარდობა მშპ-სთან, 2020




წყარო: ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით

წყარო: მსოფლიო ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

# კერძო განათლების სექტორს მაღალი მომგებიანობა აქვს

- მზარდი მოთხოვნის შედეგად, კერძო (კომერციული) განათლების სექტორი საშუალოდ წლიურად 12.9%-ით გაიზარდა 2010-22 წლებში. სექტორის მომგებიანობის მაჩვენებლები მაღალია.
- აღსანიშნავია, რომ 2022 წელს მომგებიანობის მაჩვენებლები შემცირდა, რადგან 1) საოპერაციო ხარჯების ზრდამ გადააჭარბა შემოსავლების ზრდას, 2) იყო მოსწავლეთა გადინება კერძოდან საჯარო სკოლებში და 3) კერძო უნივერსიტეტებში სტუდენტების მოკრძალებული ზრდა.

**განათლება: კერძო სექტორის მომგებიანობა, მლნ ლარი**




**განათლება: კერძო სექტორის მომგებიანობის მარჟები, %**




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: არ მოიცავს არაკომერციული კერძო სკოლების შემოსავლებს

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

# სარჩევი


| | |
|---|---|
| 1 | ძირითადი მიგნებები |
| 2 | განათლების სექტორის მიმოხილვა |
| 3 | ზოგადი განათლება |
| 4 | უმაღლესი განათლება |
| 5 | დანართი |

# ზოგადი განათლების სექტორის შემოსავალი 1.3 მლრდ ლარამდე გაიზარდა (+11.8% წ/წ) 2022 წელს

- საჯარო სექტორის შემოსავალი 14.2%-ით გაიზარდა და 986.4 მლნ ლარი შეადგინა 2022 წელს, რაც გამოწვეულია სახელმწიფო დაფინანსების გაზრდით.
- კერძო სექტორის შემოსავალმა 288.4 მილიონი ლარი (+4.4% წ/წ) შეადგინა 2022 წელს. კერძო სექტორის შემოსავლების ზრდის შენელება პანდემიის გამო 2020/21 და 2021/22 სასწავლო წლებში საჯარო სკოლებში მოსწავლეების გადინებით აიხსნება.

## ზოგადი განათლება: კერძო და საჯარო სექტორის შემოსავლები, მლრდ ლარი




წყარო: ფინანსთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

## ზოგადი განათლება: სკოლების და მოსწავლეების რაოდენობა, 2022/23

| სკოლის კატეგორია | სკოლების რაოდენობა | მოსწავლეების რაოდენობა, '000 | მოსწავლეების რაოდენობა ერთ სკოლაში | მოსწავლეების წილი, % |
|---|---|---|---|---|
| საჯარო | 2,086 | 569.6 | 273 | 89.9% |
| კერძო (კომერციული) | 171 | 53.3 | 312 | 8.4% |
| კერძო (არაკომერციული) | 45 | 10.4 | 230 | 1.6% |
| **სულ** | **2,302** | **633.3** | **275** | **100.0%** |

წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

# მოსწავლეთა რაოდენობის მცირე ზრდაა მოსალოდნელი 2023-27 წლებში

- საქართველომ თითქმის სრულ დასწრებას მიაღწია სკოლებში, 95%-ზე მეტი ჩარიცხვის წმინდა მაჩვენებლით. სკოლის ასაკის მოსახლეობა მცირდებოდა 2013 წლამდე, მაგრამ მას შემდეგ აღმავალი ტენდენციაა, რაც გაუმჯობესებული დემოგრაფიული ტენდენციებით აიხსნება.
- საქართველოში სკოლებში 633.3 ათასი მოსწავლე სწავლობდა 2022-23 წლების მონაცემებით. ჩვენ ველოდებით ზრდას 647.3 ათას მოსწავლემდე 2027/28 სასწავლო წლისთვის, რაც განპირობებულია ახალშობილთა რაოდენობის ზრდით 2014-18 წლებში.

## მოსწავლეების რაოდენობა, '000




წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

## სკოლების რაოდენობა, 2022/23




ცვლილება 2013-23 წლებში:

- **-20** კერძო სკოლა
- **-2** საჯარო სკოლა

წყარო: საქსტატი

# მოსწავლეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა დიდ ქალაქებში: ბათუმში, თბილისში, ქუთაისსა და რუსთავში

## მოსწავლეების და სკოლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2022-23




წყარო: საქსტატი

## მოსწავლეების რაოდენობის ცვლილება 2012/13 და 2022/23 წლებს შორის




წყარო: საქსტატი

# საქართველოში მასწავლებელთა რაოდენობა მცირდება, მაგრამ მიწოდება მაინც ჭარბია

- მასწავლებელთა ასაკის გაახალგაზრდავების მიზნით, მთავრობამ პედაგოგთა საპენსიო სქემა დანერგა. პროგრამის მიხედვით პენსიაზე გასული მასწავლებელი მიიღებს 2 წლის ხელფასს. შედეგად, მასწავლებელთა რაოდენობა შემცირდა 7.5%-ით 2022/23 წელს, 2018/19 სასწავლო წელთან შედარებით.
- ზოგადი განათლების სექტორში კვლავ არის მასწავლებელთა ჭარბი რაოდენობა, მიუხედავად ბოლო წლებში შემცირებისა. შედეგად, მოსწავლე-მასწავლებლების ფარდობა შეადგენდა 9.7-ს 2020 წელს (10.2 2022 წელს), მაშინ როცა OECD-ის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 13.0-ს შეადგენს.

## მასწავლებლების რაოდენობა, '000




წყარო: საქსტატი

## მოსწავლეების რაოდენობა ერთ მასწავლებელზე, 2020




წყარო: მსოფლიო ბანკი, საქსტატი

# საქართველოში კერძო სკოლებში ჩარიცხვები მზარდია

## კერძო სკოლებში ჩარიცხვების წილი, 2020




წყარო: მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი

- როგორც წესი, არც კერძო და არც საჯარო განათლება არ იძლევა კარგი შედეგების გარანტიას, ამიტომ ქვეყნები სხვადასხვა მოდელს ირჩევენ. თუმცა, კერძო სკოლების წილის ზრდა გლობალური ტრენდია და 2010-20 წლებში გაიზარდა 4.5 პროცენტული პუნქტით. შედეგად, კერძო სკოლებში ჩარიცხვის საშუალო რიცხვი გლობალურად 22.8%-ია. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა უფრო თვალსაჩინოა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში.

- იმის აღქმამ, რომ კერძო სკოლებში სწავლის უკეთესი ხარისხია, განაპირობა საქართველოში კერძო ჩარიცხვების მზარდი ტენდენცია (საშუალო წლიურად 1.5%-იანი ზრდა 2010-22 წლებში). შედეგად, კერძო სკოლების წილი ჯამურ ჩარიცხვებში 10.1% შეადგენდა 2022 წელს (8.9%, 2010 წელს), რაც რეგიონის ქვეყნებთან (3.2%) შედარებით მაღალია.

# კერძო სკოლებში ჩარიცხვები ყველაზე მაღალია დიდ ქალაქებში: თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში

- მოსალოდნელია კერძო სკოლებში ჩარიცხვების წილის ზრდა 11.3%-მდე - დაახლოებით 73.2 ათასი მოსწავლე 2027/28 წლისთვის. ზრდა განპირობებული იქნება ურბანიზაციით და დიდ ქალაქებში კონცენტრირებული მოთხოვნითა და მაღალი შემოსავლით.
- თბილისი, ბათუმი და ქუთაისი ყველაზე მიმზიდველი ქალაქებია კერძო სკოლებისთვის მოსახლეობის შედარებით მაღალი შემოსავლის გამო.

## მასწავლებლების რაოდენობა, '000




წყარო: განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

## კერძო სკოლები ქალაქების მიხედვით, 2022/23

| ქალაქი | სკოლების რაოდენობა | მოსწავლეების რაოდენობა | მოსწავლეების რაოდენობა ერთ სკოლაში |
|---|---|---|---|
| თბილისი | 112 | 39,933 | 357 |
| ***აქედან:*** | | | |
| *ვაკე-საბურთალო* | *48* | *18,823* | *392* |
| *გლდანი-ნაძალადევი* | *23* | *7,304* | *318* |
| *დიდუბე-ჩუღურეთი* | *11* | *4,679* | *425* |
| *ისანი-სამგორი* | *17* | *5,061* | *298* |
| *მთაწმინდა-კრწანისი* | *13* | *4,066* | *313* |
| | | | |
| ბათუმი | 17 | 6,513 | 383 |
| ქუთაისი | 10 | 3,609 | 361 |
| რუსთავი | 7 | 894 | 128 |
| სხვები | 66 | 11,645 | 176 |
| **სულ** | **212** | **62,594** | **295** |

წყარო: განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

# კერძო სკოლების სექტორი კვლავ ფრაგმენტულია, რაც მიუთითებს შერწყმის (M&A) შესაძლებლობაზე

- ზრდის მიუხედავად, საქართველოში კერძო განათლების სისტემა კვლავ ფრაგმენტულია - მხოლოდ 11 კერძო სკოლას ჰყავს 1,000-ზე მეტი მოსწავლე და მათი წილი ბაზრის 21.0%-ს შეადგენდა 2022-23 წლებში (15.2% 2019/20 წლებში). კერძო სკოლების 62.3%-ს ჰყავს მხოლოდ 250-მდე მოსწავლე (ძირითადად საქართველოს რეგიონებში).
- ჩვენ ველით, რომ კერძო სკოლების შერწყმა (M&A) გაგრძელდება მასშტაბის ეკონომიის და რეპუტაციის მოპოვების პროცესის მინიმიზაციის მიზნით.

## კერძო სკოლები მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით, 2022/23

| | სკოლების რაოდენობა | მოსწავლეების რაოდენობა | სკოლების წილი, % | მოსწავლეების წილი, % |
|---|---|---|---|---|
| <250 | 132 | 18,029 | 62.3% | 28.8% |
| 250-500 | 46 | 15,773 | 21.7% | 25.2% |
| 500-750 | 17 | 10,316 | 8.0% | 16.5% |
| 750-1,000 | 6 | 5,323 | 2.8% | 8.5% |
| >1,000 | 11 | 13,153 | 5.2% | 21.0% |
| **სულ** | **212** | **62,594** | **100.0%** | **100.0%** |

წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი

## კერძო სკოლებში ჩარიცხვები ქალაქების მიხედვით, 2022/23




წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი

# კერძო სექტორის შემოსავლების ზრდა განპირობებული იყო სწავლის საფასურის ზრდით, რამაც გააბათილა პანდემიის გამო მოსწავლეების მცირე შემცირების ეფექტი

- კერძო სექტორის შემოსავლები საშუალო წლიურად იზრდებოდა 12.7%-ით 2010-22 წლებში, რაც განპირობებული იყო როგორც მოსწავლეების, ასევე სწავლის საფასურის ზრდით. თუმცა, ზრდა შენელდა 2021-22 წლებში, რაც აიხსნება პანდემიის დროს მოსწავლეთა საჯარო სკოლებში გადინებით.
- კერძო სკოლებში სწავლის წლიური საფასური მერყეობს 1,000-20,000 ლარს შორის. გამოკითხული სკოლების უმრავლესობაში (36.9%) წლიური გადასახადი 2,500-5,000 ლარს შეადგენს.

## ზოგადი განათლება: კერძო სექტორის შემოსავლები საქართველოში




წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

## კერძო სკოლების წლიური გადასახადი საფასო შუალედების მიხედვით, (103 კერძო სკოლის მიხედვით)




წყარო: კომპანიების ინფორმაცია, გალტ & თაგარტი

# კერძო სკოლები შემოსავლების მიხედვით

## ტოპ-10 კერძო სკოლა შემოსავლის მიხედვით საქართველოში, 2022/23

| კერძო სკოლა | მოსწავლეების რაოდენობა | წილი კერძო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობაში | მდებარეობა | შემოსავალი, '000 ლარი, 2021 |
|---|---|---|---|---|
| ევროპული სკოლა | 937 | 1.5% | თბილისი | 18,157 |
| ახალი სკოლა | 715 | 1.1% | თბილისი | 14,148 |
| თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა | N/A | N/A | თბილისი | 13,924 |
| შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა | 1,442 | 2.3% | თბილისი | 8,704 |
| გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია | 372 | 0.6% | თბილისი | 6,927 |
| ბრიტანულ ქართული აკადემია | 422 | 0.7% | თბილისი | 6,769 |
| წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა | 1,061 | 1.7% | თბილისი | 5,967 |
| ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა | 1,079 | 1.7% | თბილისი | 5,495 |
| ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი | 700 | 1.1% | თბილისი | 5,319 |
| მწიგნობართუხუცესი | 1,289 | 2.1% | თბილისი | 4,691 |

წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი, სარასი, გალტ & თაგარტი

# ბაზარი ნაკლებად გაჯერებულია, რაც მაღალ მომგებიანობას განაპირობებს

- ტოპ-15 კერძო სკოლის მომგებიანობის მარჟები მაღალი დარჩა პანდემიის მიუხედავად. მეტიც, ონლაინ სწავლებაზე გადასვლამ გამოიწვია საოპერაციო ხარჯების შემცირება. შედეგად, ებიტდა (EBITDA) და წმინდა მოგების მარჟა გაიზარდა, 2020-21 წლებში. აღსანიშნავია, რომ პერსონალის ხარჯები შეადგენს შემოსავლების დაახლოებთ 50-55%-ს.
- აღსანიშნავია, რომ ტოპ-15 კერძო სკოლის ვალი/EBITDA ფარდობა ზომიერია და მერყეობს 2.0-2.5 შორის.

**მომგებიანობის ანალიზი: ტოპ-15 სკოლა შემოსავლის მიხედვით**




წყარო: სარასი, გალტ & თაგარტი

**ვალიანობის ანალიზი: ტოპ-15 სკოლა შემოსავლის მიხედვით**




წყარო: სარასი, გალტ & თაგარტი

# სარჩევი


| | |
|---|---|
| 1 | ძირითადი მიგნებები |
| 2 | განათლების სექტორის მიმოხილვა |
| 3 | ზოგადი განათლება |
| 4 | უმაღლესი განათლება |
| 5 | დანართი |

# უმაღლესი განათლების სექტორის შემოსავალი 801.8 მლნ ლარამდე გაიზარდა (+4.5% წ/წ) 2022 წელს

- 2022 წელს, როგორც საჯარო ისე კერძო უმაღლესი სასწავლებლების შემოსავლების ზრდის ტემპი შენელდა წინა წლებთან შედარებით.
- საჯარო სექტორის შემოსავლები წლიურად 4.3%-ით გაიზარდა და 489.8 მილიონი ლარი შეადგინა 2022 წელს, ხოლო კერძო სექტორის შემოსავლები 5.1%-ით 312.1 მილიონ ლარამდე.
- კერძო სექტორის შემოსავლების ზრდის შენელება უკავშირდება ბაკალავრიატის სტუდენტების რაოდენობის 4.8%-იან კლებას 2022/23 სასწავლო წელს.

## უმაღლესი განათლება: კერძო და საჯარო სექტორის შემოსავლები, მლრდ ლარი




წყარო: ფინანსთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

## უმაღლესი განათლება: საგანმანათლებლო დაწესებულებების და სტუდენტების რაოდენობა

| კატეგორია | საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა | სტუდენტების რაოდენობა '000 | სტუდენტების რაოდენობა ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში | სტუდენტების წილი, % |
|---|---|---|---|---|
| საჯარო | 19 | 97.2 | 5,117 | 60.0% |
| კერძო (კომერციული) | 30 | 55.6 | 1,852 | 34.3% |
| კერძო (არაკომერციული) | 13 | 9.2 | 708 | 5.7% |
| **სულ** | **62** | **162.0** | **2,613** | **100.0%** |

წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

# უმაღლესი განათლების დაწესებულებებში ჩარიცხვის მაჩვენებელი საქართველოში მაღალია

## ჩარიცხვის მაჩვენებელი, უმაღლესი განათლება




წყარო: მსოფლიო ბანკი
შენიშვნა: 2021 წლის მონაცემები საქართველოსთვის, 2020 წლის სხვა რეგიონებისთვის

# სტუდენტების რაოდენობა და კერძო უნივერსიტეტების ჩარიცხვების წილი სტაბილურად გაიზრდება

- კერძო სექტორის წილი იზრდება - კერძო სექტორში 64,3 ათასი სტუდენტი სწავლობდა (ჯამურის 39.0%) 2022 წელს (25.0 ათასი 2011 წელს).
- ჩვენი მოლოდინით, სტუდენტების რაოდენობის ზრდა გაგრძელდება ნელი ტემპით და 2027/28 წელს 173.4 ათასამდე გაიზრდება ამჟამინდელი 164.9 ათასიდან. ზრდა განპირობებული იქნება გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის, უფროსი ასაკობრივი ჯგუფების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნისა და უცხოელი სტუდენტების სწრაფი ზრდით.

## სტუდენტების რაოდენობა უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, '000




წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

## უმაღლესი განათლების დაწესებულებები, 2022/23




წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

# სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართლის პროგრამები ყველაზე პოპულარული იყო ბაკალავრიატზე 2022/23 წელს, ხოლო ჯანდაცვა მაგისტრატურაზე, რაც უცხოელი სტუდენტების მიერაა განპირობებული

## სტუდენტების რაოდენობა უმაღლესი განათლების დაწესებულებებში აკადემიური საფეხურის და პროგრამის მიხედვით, 2022/23




წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი

# უცხოელი სტუდენტების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა 2022/23 წლებში ინდოელი სტუდენტების უკრაინიდან გადმობარგების გამო, რაც განათლების ჰაბის სტატუსს კიდევ უფრო აძლიერებს

- უმაღლესი განათლების სასწავლებლებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა 20-ჯერ გაიზარდა 25.1 ათასამდე 2010-22 წლებში. უცხოელი სტუდენტები მთლიანი ჩარიცხვების 15.2%-ს შეადგენდნენ 2022/23 წელს. სტუდენტების უმეტესობა ინდოეთიდან (52.1% 2022/23 წლებში), იორდანიიდან (8.7%) და ისრაელიდანაა (5.5%).
- უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა (74.6%) კერძო უნივერსიტეტებში სწავლობს 2022/23 წლის მდგომარეობით. ჯანდაცვისა სამაგისტრო პროგრამები რჩება ყველაზე პოპულარული საერთაშორისო სტუდენტებს შორის 2022/23 წლებში (ჩარიცხულთა 88.1%).

## უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საქართველოში, '000




წყარო: საქსტატი

## უცხოელი სტუდენტების წილი უმაღლეს სასწავლებლებში, 2020




წყარო: მსოფლიო ბანკი, საქსტატი

# საერთაშორისო სტუდენტები ძირითადად აბარებენ ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამებზე

**უცხოელი სტუდენტების რაოდენობა უმაღლესი განათლების დაწესებულებებში აკადემიური საფეხურის და პროგრამის მიხედვით, 2022/23**




წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი

# კერძო სექტორის შემოსავლის ზრდა განპირობებულია საერთაშორისო სტუდენტების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნით

- კერძო სექტორის შემოსავალი 82.9მლნ ლარიდან 312.1მლნ ლარამდე გაიზარდა 2011-22 წლებში. უმაღლესი განათლება საქართველოში ძირითადად ჯიბიდან გადახდებით (out-of-pocket) ფინანსდება, ხოლო სახელმწიფო დაფინანსება კვლავ დაბალია.
- კერძო სექტორში სწავლის წლიური საფასური მერყეობს 2,250-30,000 ლარს შორის. გამოკითხული უნივერსიტეტების უმრავლესობაში (52.4%) წლიური გადასახადი 2,500-5,000 ლარს შეადგენს.

## უმაღლესი განათლება: კერძო სექტორის შემოსავლები საქართველოში




წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

## კერძო უნივერსიტეტების წლიური გადასახადი საფასო შუალედების მიხედვით, (21 კერძო უნივერსიტეტის 164 პროგრამის მიხედვით)

| | სულ პროგრამა | ქართულენოვანი პროგრამები | ინგლისურენოვანი პროგრამები |
|---|---|---|---|
| 2,250-2,500 ლარი | 37 | 37 | 0 |
| 2,500-5,000 ლარი | 86 | 69 | 17 |
| 5,000-10,000 ლარი | 36 | 26 | 10 |
| 10,000+ ლარი | 5 | 1 | 4 |

წყარო: კომპანიების ინფორმაცია, გალტ & თაგარტი

# კერძო უნივერსიტეტების უმრავლესობას 2,000-ზე მეტი სტუდენტი ჰყავდათ 2022/2023 წლებში

## ტოპ-10 უნივერსიტეტი სტუდენტების რაოდენობით საქართველოში, 2022/23

| კერძო უნივერსიტეტები | სტუდენტების რაოდენობა | ბაზრის წილი კერძო და საჯარო უნივერსიტეტებში | ბაზრის წილი კერძო უნივერსიტეტებში | ლოკაცია | შემოსავალი, '000 ლარი, 2021 |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს უნივერსიტეტი | 7,791 | 4.8% | 14.0% | Tbilisi | 36,938 |
| საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ) | 7,498 | 4.6% | 13.5% | Tbilisi | 21,096 |
| კავკასიის უნივერსიტეტი | 6,249 | 3.9% | 11.2% | Tbilisi | 25,332 |
| კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი | 4,636 | 2.9% | 8.3% | Tbilisi | 26,000 |
| ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ბთუ) | 3,882 | 2.4% | 7.0% | Tbilisi | 8,053 |
| ევროპის უნივერსიტეტი | 3,243 | 2.0% | 5.8% | Tbilisi | 17,392 |
| თავისუფალი უნივერსიტეტი | 2,886 | 1.8% | 5.2% | Tbilisi | 18,165 |
| შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი | 2,605 | 1.6% | 4.7% | Tbilisi | 6,272 |
| გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი | 2,461 | 1.5% | 4.4% | Tbilisi | 11,036 |
| ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი (გაუ) | 2,322 | 1.4% | 4.2% | Tbilisi | 13,067 |

წყარო: განათლების სამინისტრო, საქსტატი, სარასი, გალტ & თაგარტი

# ბაზარი ნაკლებად გაჯერებულია, რაც მაღალ მომგებიანობას განაპირობებს

- ტოპ-15 კერძო უნივერსიტეტების მომგებიანობის მარჟები მაღალი დარჩა პანდემიის მიუხედავად. ონლაინ სწავლებაზე გადასვლამ გამოიწვია საოპერაციო ხარჯების შემცირება. შედეგად, ებიტდა (EBITDA) და წმინდა მოგების მარჟა 2019 წელთან შედარებით გაიზარდა 2020-21 წლებში. აღსანიშნავია, რომ პერსონალის ხარჯები შეადგენს შემოსავლების დაახლოებთ 40-45%-ს.
- აღსანიშნავია, რომ ტოპ-15 კერძო უნივერსიტეტის ვალი/EBITDA ფარდობა ზომიერია და მერყეობს 1.0-2.0 შორის.

**მომგებიანობის ანალიზი: ტოპ-15 უნივერსიტეტი შემოსავლის მიხედვით**




წყარო: სარასი, გალტ & თაგარტი

**ვალიანობის ანალიზი: ტოპ-15 უნივერსიტეტი შემოსავლის მიხედვით**




წყარო: სარასი, გალტ & თაგარტი

# სარჩევი


| | |
|---|---|
| 1 | ძირითადი მიგნებები |
| 2 | განათლების სექტორის მიმოხილვა |
| 3 | ზოგადი განათლება |
| 4 | უმაღლესი განათლება |
| 5 | დანართი |

# დანართი 1 – სკოლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

## სკოლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

| | 2010/11 | 2011/12 | 2012/13 | 2013/14 | 2014/15 | 2015/16 | 2016/17 | 2017/18 | 2018/19 | 2019/2020 | 2020/2021 | 2021/2022 | 2022/2023 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | **2,430** | **2,317** | **2,320** | **2,328** | **2,331** | **2,331** | **2,321** | **2,308** | **2,313** | **2,313** | **2,309** | **2,308** | **2,302** |
| თბილისი | 332 | 291 | 291 | 296 | 297 | 300 | 297 | 287 | 290 | 291 | 289 | 292 | 287 |
| იმერეთი | 417 | 398 | 403 | 403 | 401 | 400 | 398 | 396 | 396 | 396 | 396 | 396 | 393 |
| ქვემო ქართლი | 279 | 268 | 268 | 269 | 269 | 268 | 266 | 266 | 267 | 268 | 267 | 267 | 267 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 277 | 260 | 261 | 264 | 264 | 263 | 263 | 263 | 263 | 262 | 262 | 261 | 261 |
| აჭარა | 262 | 256 | 255 | 255 | 256 | 255 | 255 | 254 | 255 | 253 | 253 | 253 | 253 |
| სამცხე-ჯავახეთი | 206 | 206 | 206 | 206 | 206 | 206 | 206 | 206 | 206 | 206 | 206 | 206 | 206 |
| კახეთი | 202 | 192 | 192 | 192 | 194 | 195 | 195 | 193 | 193 | 193 | 191 | 191 | 192 |
| შიდა ქართლი | 177 | 173 | 172 | 172 | 172 | 172 | 171 | 171 | 171 | 171 | 172 | 172 | 171 |
| გურია | 101 | 101 | 101 | 101 | 101 | 101 | 101 | 101 | 101 | 101 | 101 | 101 | 101 |
| მცხეთა-მთიანეთი | 94 | 89 | 88 | 87 | 88 | 88 | 88 | 88 | 88 | 89 | 89 | 88 | 88 |
| რაჭა-ლეჩხუმი & ქვემო სვანეთი | 68 | 68 | 68 | 68 | 68 | 68 | 68 | 68 | 68 | 68 | 68 | 68 | 68 |
| აფხაზეთის ავტონომიური რესპ. | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 13 | 15 | 15 | 15 | 15 | 13 | 15 |

წყარო: საქსტატი

# დანართი 2 - მოსწავლეების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

## მოსწავლეების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

| | 2010/11 | 2011/12 | 2012/13 | 2013/14 | 2014/15 | 2015/16 | 2016/17 | 2017/18 | 2018/19 | 2019/2020 | 2020/2021 | 2021/2022 | 2022/2023 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | **595,394** | **568,486** | **559,415** | **553,016** | **553,994** | **553,914** | **564,729** | **575,181** | **584,374** | **592,883** | **609,095** | **624,524** | **633,302** |
| თბილისი | 170,494 | 170,675 | 171,536 | 172,614 | 177,581 | 180,612 | 187,661 | 194,110 | 200,198 | 205,829 | 212,425 | 219,155 | 224,081 |
| იმერეთი | 85,154 | 80,985 | 78,383 | 76,134 | 74,733 | 73,970 | 74,780 | 76,038 | 76,603 | 76,914 | 78,682 | 80,421 | 80,829 |
| ქვემო ქართლი | 70,369 | 65,878 | 65,827 | 65,772 | 66,054 | 66,046 | 67,450 | 68,585 | 69,606 | 70,427 | 72,311 | 73,649 | 74,253 |
| აჭარა | 59,977 | 56,580 | 54,846 | 53,628 | 53,998 | 54,115 | 55,216 | 56,247 | 57,826 | 59,068 | 61,273 | 63,645 | 66,440 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 50,160 | 46,599 | 45,538 | 44,628 | 43,703 | 43,288 | 43,293 | 43,496 | 43,684 | 43,840 | 44,691 | 45,608 | 45,605 |
| კახეთი | 49,733 | 45,862 | 44,691 | 43,847 | 43,292 | 42,723 | 42,915 | 42,859 | 42,707 | 43,100 | 44,343 | 45,386 | 45,547 |
| შიდა ქართლი | 42,694 | 40,410 | 38,906 | 38,095 | 37,470 | 37,153 | 37,411 | 37,801 | 37,799 | 37,772 | 38,502 | 39,215 | 39,454 |
| სამცხე-ჯავახეთი | 28,123 | 26,645 | 25,965 | 25,675 | 25,264 | 24,810 | 24,745 | 24,618 | 24,532 | 24,424 | 24,695 | 24,732 | 24,477 |
| გურია | 17,274 | 16,116 | 15,615 | 15,076 | 14,649 | 14,405 | 14,378 | 14,425 | 14,241 | 14,165 | 14,371 | 14,495 | 14,490 |
| მცხეთა-მთიანეთი | 14,592 | 12,290 | 11,902 | 11,643 | 11,537 | 11,275 | 11,484 | 11,703 | 11,899 | 12,079 | 12,491 | 12,888 | 12,821 |
| რაჭა-ლეჩხუმი & ქვემო სვანეთი | 4,365 | 4,074 | 3,825 | 3,627 | 3,436 | 3,261 | 3,136 | 3,013 | 2,954 | 2,928 | 2,939 | 2,907 | 2,883 |
| აფხაზეთის ავტონომიური რესპ. | 2,459 | 2,372 | 2,381 | 2,277 | 2,277 | 2,256 | 2,260 | 2,286 | 2,325 | 2,337 | 2,372 | 2,423 | 2,422 |

წყარო: საქსტატი

# დანართი 3 – სტუდენტების რაოდენობა აკადემიური საფეხურის მიხედვით

## სტუდენტების რაოდენობა აკადემიური საფეხურის მიხედვით, სახელმწიფო სასწავლებლები

| | სულ | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა | პროფესიული პროგრამა |
|---|---|---|---|---|
| 2011/12 | 70,922 | 61,026 | 7,925 | 1,971 |
| 2012/13 | 80,009 | 70,812 | 7,846 | 1,351 |
| 2013/14 | 83,250 | 73,797 | 7,572 | 1,881 |
| 2014/15 | 86,247 | 75,789 | 8,515 | 1,943 |
| 2015/16 | 90,452 | 71,465 | 16,185 | 2,802 |
| 2016/17 | 91,740 | 70,867 | 17,276 | 3,597 |
| 2017/18 | 93,627 | 71,559 | 18,481 | 3,587 |
| 2018/19 | 95,923 | 73,250 | 20,595 | 2,078 |
| 2019/20 | 95,535 | 72,938 | 20,026 | 2,571 |
| 2020/21 | 100,568 | 75,721 | 21,477 | 3,370 |
| 2021/22 | 101,737 | 76,242 | 21,510 | 3,985 |
| 2022/23 | 97,768 | 72,135 | 22,426 | 3,207 |

წყარო: საქსტატი

## სტუდენტების რაოდენობა აკადემიური საფეხურის მიხედვით, კერძო სასწავლებლები

| | სულ | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა | პროფესიული პროგრამა |
|---|---|---|---|---|
| 2011/12 | 24,188 | 20,391 | 3,268 | 529 |
| 2012/13 | 29,524 | 26,626 | 2,705 | 193 |
| 2013/14 | 34,460 | 31,012 | 3,264 | 184 |
| 2014/15 | 37,976 | 33,635 | 3,956 | 385 |
| 2015/16 | 42,492 | 34,665 | 6,884 | 943 |
| 2016/17 | 48,521 | 38,261 | 9,134 | 1,126 |
| 2017/18 | 50,181 | 37,163 | 11,803 | 1,215 |
| 2018/19 | 51,791 | 37,808 | 13,345 | 638 |
| 2019/20 | 53,268 | 38,929 | 13,899 | 440 |
| 2020/21 | 56,726 | 42,162 | 14,091 | 473 |
| 2021/22 | 58,105 | 39,813 | 17,713 | 579 |
| 2022/23 | 63,524 | 37,902 | 25,390 | 232 |

წყარო: საქსტატი

# დანართი 4 – სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით

## სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით, სახელმწიფო სასწავლებლები

| | 2021/22 | | | 2022/23 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა | პროფესიული პროგრამა | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა | პროფესიული პროგრამა |
| ჯამი | 76,242 | 21,510 | 3,985 | 72,135 | 22,426 | 3,207 |
| საიდანაც: | | | | | | |
| განათლება | 2,353 | 240 | 1,218 | 2,041 | 1,632 | 469 |
| ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება | 10,072 | 1,021 | 58 | 10,170 | 942 | 62 |
| სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი | 30,955 | 4,623 | 774 | 29,048 | 3,932 | 815 |
| მეცნიერება | 16,119 | 2,229 | 325 | 15,274 | 2,005 | 308 |
| საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები | 7,892 | 1,013 | 697 | 6,819 | 803 | 652 |
| სოფლის მეურნეობა | 2,121 | 274 | 94 | 2,172 | 242 | 87 |
| ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 2,591 | 11,966 | 174 | 2,426 | 12,763 | 241 |
| მომსახურება | 4,139 | 144 | 645 | 4,185 | 107 | 573 |

## სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით, კერძო სასწავლებლები

| | 2021/22 | | | 2022/23 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა | პროფესიული პროგრამა | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა | პროფესიული პროგრამა |
| ჯამი | 39,813 | 17,713 | 579 | 37,902 | 25,390 | 232 |
| საიდანაც: | | | | | | |
| განათლება | 71 | 23 | 76 | 81 | 48 | 95 |
| ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება | 3,068 | 552 | - | 4,623 | 438 | 16 |
| სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი | 23,860 | 5,753 | 39 | 22,740 | 4,693 | 13 |
| მეცნიერება | 3,690 | 182 | - | 3,860 | 167 | - |
| საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები | 1,846 | 108 | 318 | 2,442 | 117 | 25 |
| სოფლის მეურნეობა | 948 | 387 | - | 1,138 | 479 | - |
| ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 3,954 | 10,545 | 40 | 1,649 | 19,316 | 60 |
| მომსახურება | 2,376 | 163 | 106 | 1,369 | 132 | 23 |

წყარო: საქსტატი

# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("გალტ & თაგარტი"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია გალტ & თაგარტი-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.


**კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**
ევა ბოჭორიშვილი | evaboshorishvili@gt.ge

**მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების უფროსი**
ლაშა ქავთარაძე | lkavtaradze@gt.ge

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი**
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

**სექტორის უფროსი**
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

**მისამართი:** 3 პუშკინის ქუჩა, თბილისი, 0105, საქართველო
**ტელ:** + (995) 32 2401 111
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge

**სექტორის უფროსი**
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**
გიგა ნოზაძე | gnozadze@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**
გიორგი ცქიტიშვილი | g.tskitishvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**
ზურაბ თავყელიშვილი | ztavkelishvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**
სერგი ყურაშვილი | skurashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**
დაჩი მუჯირიშვილი| dmujirishvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**
მარიამ ოქროპირიძე| maokropiridze@gt.ge

**ანალიტიკოსი**
ოთარ ცუხიშვილი| othukhishvili@gt.ge